

## სტუდენტის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

### ✚ სტუდენტის წახალისება

სწავლასა და შემოქმედებით საქმიანობაში მიღწეული წარმატებისა და უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების შემდეგი ფორმები:

- მადლობის გამოცხადება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა.

➤ წარჩინებულ სტუდენტთა წახალისებისათვის ბხსუ-ში არსებობს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიები.

### ✚ სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

- სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, დისციპლინური სახდელები, დისციპლინური საქმისწარმოებისა და დისციპლინური სახდელის დადების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი გაწერილია ბხსუ-ს შინაგანაწესის [http://basu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_2521\\_1.pdf](http://basu.edu.ge/text_files/ge_file_2521_1.pdf) 41-ე, 42-ე, 43-ე და 44-ე მუხლებში.
- ✓ სტუდენტის პასუხისმგებლობა იზრდება ნორმების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში.

სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს იხილავს შესაბამისი ფაკულტეტი. ფაკულტეტის დეკანი დისციპლინური გადაცდომის საქმეზე ნიშნავს სპეციალურ მომკვლევთა ჯგუფს სამი წევრის შემადგენლობით. მომკვლევთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე დეკანს გამოაქვს გადაწყვეტილება სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების ან სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

- სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბხსუ-ს მიერ გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით და სამართლიანი პროცედურის გზით.
- სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების

საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

- დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
  - ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
  - ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
  - გ) მიაწოდოს ბხსუ-ს შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
  - დ) მონაწილეობა მიიღოს ბხსუ-ს შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
  - ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.
  
- დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს ბხსუ-ს შესაბამისმა ორგანომ.
  
- სტუდენტის გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს სპეციალური სხდომის გამართვას. დისციპლინური საქმისწარმოების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სტუდენტს.
  
- თუ დისციპლინური სახდელდადებული სტუდენტი სახდელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს განმეორებით დისციპლინურ გადაცდომას, დადებული სახდელი ჩაითვლება მოხსნილად, გარდა ფინანსური სახით ან ზარალის ანაზღაურების სახით დადებული სახდელისა.
  
- ✓ სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს ბხსუ-ს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.
  
- ✚ ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.